გერმანია

- **გერმანიის მიმართულებით გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისამდე ტრანსპორტირების შემდგომ, ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება აგენტი ოფისის წარმომადგენელის(კურიერი) მიერ ადრესატთან წინასწარ შეთანხმებულ ადგილას, კერძოდ:
- კურიერი ახდენს სატელეფონო კომუნიკაციას გზავნილის მიმღებთან და წინასწარ აცნობებს მას გზავნილის გაცემის ადგილის კონკრეტულ მისამართსა და დროს, სადაც უნდა მიაკითხოს ადრესატმა და ჩაიბაროს გზავნილი. კურიერის მიერ შეთანხმებულ მისამართზე ვიზიტი ხორციელდება ერთჯერადად.
- იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხდება გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება, კურიერი აბრუნებს გზავნილს აგენტის ოფისში. ამის შემდგომ, ადრესატს შესაძლებლობა აქვს შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი.
- **გერმანიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის** ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
დიუსელდორფი, კელნი, ბონი, მიუნჰენი, ფრანკფურტი, ნიურნბერგი, ფრაიბურგი, კარლსრუე, ჰანოვერი,	**16-18** კალენდარული დღე

- **გერმანიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:**

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები	ქალაქები სადაც ბარდება გზავნილები
1	ნიურნბერგი	**Äußere Bayreuther Str.48 90491 Nürnberg**	+491639600954; +4915259716576 +393292080402	**ოთხშაბათი**-12:00სთ-დან-16:00სთ-მდე, **პარასკევი** -12:00სთ-დან-16:00სთ-მდე	**ნიურნბერგი; ფრაიბურგი; კარლსრუე; ჰანოვერი; <u>დიუსელდორფი;</u> <u>კელნი;</u> <u>ბონი;</u> <u>მიუნჰენი;</u> <u>ფრანკფურტი.</u>**

<u>გასათვალისწინებელია:</u> სახმელეთო ამანათი იგზავნება მხოლოდ ცხრილში მითითებულ ქალაქებში, გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება არ ხორციელდება აღნიშნული ქალაქების მეზობელ, მოსაზღვრე ან/და ახლოს მდებარე სხვა რომელიმე ქალაქში.

- **გერმანიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება** გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი

ტარიფის ნამრავლით. 5 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნი/ადრესატი იხდის ფიქსირებულ - 5 კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.

- **გერმანიის მიმართულებით მედიკამენტების გაგზავნა არ ხორციელდება.**
- **გერმანიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის ფასდადებით გაგზავნა არ ხორციელდება.**

საქართველოდან გაგზავნის ტარიფები:

ამანათის გაგზავნის ადგილი		*ამანათის შიგთავსის სახეობა*	*წონა*	*გადამხდელი*	*ფასი*
გერმანია	**ნიუნბერგი; კელნი; ბონი; მიუნჰენი; ფრანკფურტი; ფრაიბურგი; კარლსრუე; ჰანოვერი; დიუსელდორფი;**	პირობებით დაშვებული ნებისმიერი საქონელი, გარდა მედიკამენტებისა	5 კგ-მდე	გამგზავნი	**83.2 ლარი**
			5 კგ-ზე მეტ თითოეულ კილოგრამზე	გამგზავნი	**16.7 ლარი**